Glazed Ceramics Decorated with Zoomorphic Ornamentation from the Kutaisi Historical Museum: An Artistic and Iconographic Analysis

ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან: მხატვრული და იკონოგრაფიული ანალიზი

Irina Ugrekhelidze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Kutaisi State Historical Museum
Curator of the Textile and Embroidery Department;
PhD of Engineering
+995 593 751 888, iugrekhelidze@mail.ru
ORCID: 0000-0001-7982-9927
Nona Kartsidze
Akaki Tsereteli State University
Associate Professor
Kutaisi State Historical Museum
Human Resource Management and Public Relations Manager;
PhD in History,
+995 599 740 087; n.kartsidze@gmail.com
ORCID: 0000-0002-6148-4753
Nino Sarava
Kutaisi State Historical Museum
Curator of Arts Department
Master of Arts
+995 593 131 419; ninosarava@hotmail.com
ORCID: 0009-0007-4655-4171

Abstract. This study examines medieval glazed ceramics decorated with zoomorphic motifs preserved in the collection of the Kutaisi Historical Museum. The research aims to identify the typological, artistic, technological and iconographic characteristics of these artefacts, compare them with analogous materials from Georgia and abroad and reveal the cultural processes that shaped their decorative system. The study is based on an interdisciplinary methodology combining formal and morphological analysis, stylistic examination, iconographic interpretation and comparative historical research.

The results demonstrate that the museum collection includes both locally produced and imported glazed ceramic vessels. The surviving ceramic fragments preserve representations of

predatory animals, particularly lions and leopards, rendered in painted, graffito and combined decorative techniques. Comparative analysis revealed close parallels with ceramic materials discovered in other regions of Georgia as well as with Byzantine, Iranian and European glazed ceramics. The iconographic analysis indicates that these zoomorphic representations fulfilled not only decorative purposes but also conveyed symbolic meanings associated with power, protection, courage and royal authority within the medieval Christian and Eastern cultural traditions.

The findings confirm that the potters of Kutaisi successfully combined local artistic traditions with broader international cultural influences while preserving distinctive regional stylistic and technological features. The study contributes to a deeper understanding of medieval Georgian glazed ceramics, refines the typology and iconography of zoomorphic ornamentation and provides a valuable basis for future interdisciplinary research, museum attribution and the scholarly interpretation of medieval ceramic heritage.

Keywords: glazed ceramics; zoomorphic ornament; Kutaisi Historical Museum; iconography; ceramic art.

ირინა უგრეხელიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის კურატორი
+995 593 751 888; iugrekhelidze@mail.ru
ORCID: 0000-0001-7982-9927

ნონა ქარციძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
ადამიანური რესურსების მართვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
+995 599 740 087; n.kartsidze@gmail.com
ORCID: 0000-0002-6148-4753

ნინო სარავა
ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის
სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის
ხელოვნების განყოფილების კურატორი;
ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი
+995 593 131 419; ninosarava@hotmail.com
ORCID: 0009-0007-4655-4171

აბსტრაქტი: წინამდებარე კვლევა ეძღვნება ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის მხატვრულ, ტექნოლოგიურ და იკონოგრაფიულ ანალიზს. კვლევის მიზანია აღნიშნული ნიმუშების ტიპოლოგიური თავისებურებების გამოვლენა, მათი დეკორატიული სისტემის შესწავლა, საქართველოსა და უცხოეთის ანალოგიურ მასალასთან შედარება და იმ კულტურული პროცესების წარმოჩენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მათი მხატვრული სახის ჩამოყალიბებაზე. კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს ფორმალურ-მორფოლოგიურ, სტილისტურ, იკონოგრაფიულ და შედარებით-ისტორიულ ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული ნიმუშებით. კერამიკის შემორჩენილი ფრაგმენტების მოხატულობაში გვაქვს მტაცებელი ცხოველების – ლომისა და ავაზის გამოსახულებები, რომლებიც შესრულებულია მოხატვის, ამოკაწვრისა და კომბინირებული ტექნიკით. შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი პარალელები საქართველოს სხვა რეგიონების, აგრეთვე ბიზანტიური, ირანული და ევროპული კერამიკული ტრადიციების ნიმუშებთან. იკონოგრაფიულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული გამოსახულებები მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას არ ასრულებდა, არამედ დაკავშირებული იყო ძალაუფლების, მფარველობის, სიმამაცისა და მეფური ღირსების სიმბოლურ წარმოდგენებთან.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქუთაისელი ოსტატები ორგანულად აერთიანებდნენ ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებსა და უცხოურ კულტურულ გავლენებს. ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის შესახებ არსებულ ცოდნას, ხელს უწყობს ზოომორფული ორნამენტიკის ტიპოლოგიისა და იკონოგრაფიის დაზუსტებას და ქმნის საფუძველს შემდგომი ინტერდისციპლინური კვლევებისა და სამუზეუმო კოლექციების სამეცნიერო ატრიბუციისათვის.

საკვანძო სიტყვები: მოჭიქული კერამიკა; ზოომორფული ორნამენტი; ქუთაისის ისტორიული მუზეუმი; იკონოგრაფია; კერამიკული ხელოვნება.

შესავალი. შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. ის ასახავს როგორც ადგილობრივი კერამიკული წარმოების განვითარების დონეს, ისე საქართველოს კულტურულ ურთიერთობებს ბიზანტიურ, ისლამურ და დასავლურ სამყაროსთან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჭურჭლის ორნამენტულ გაფორმებას, რადგან დეკორატიული სისტემა არა მხოლოდ ესთეტიკური დანიშნულების მატარებელია, არამედ შეიცავს ეპოქის მხატვრულ, სიმბოლურ და იდეოლოგიურ წარმოდგენებს. დეკორირების სხვადასხვაგვარი მოტივებიდან გვხვდება ზოომორფული (ფრინველი, ცხოველი) ორნამენტებით შემკული კერამიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ზოომორფული მოტივები, ცალკეული კვლევების მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროებს სისტემურ ანალიზს, განსაკუთრებით მათი მხატვრული თავისებურებების, იკონოგრაფიისა და კულტურული პარალელების მიმართულებით. ასევე დღემდე ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი ცხოველთა გამოსახულებების ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზი. განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად ასახავს ეს გამოსახულებები ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციებს, რა კავშირი აქვს მათ აღმოსავლურ და ბიზანტიურ ორნამენტულ სისტემებთან და როგორ ვლინდება მათში შუა საუკუნეების საქართველოს კულტურული გარემოს თავისებურებები.

წინამდებარე კვლევის საგანია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით შემკული მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. კვლევის მიზანია აღნიშნული ორნამენტების მხატვრული და ტიპოლოგიური თავისებურებების გამოვლენა, მათი იკონოგრაფიული ანალიზი, პარალელების მოძიება საქართველოსა და უცხოეთის ანალოგიურ მასალასთან და იმ კულტურული პროცესების წარმოჩენა, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აღნიშნული დეკორატიული სისტემის ჩამოყალიბებაზე.

კვლევა ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ზოომორფული ორნამენტები, ერთი მხრივ, იზიარებს შუა საუკუნეების ფართო მხატვრულ ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინარჩუნებს ადგილობრივი კერამიკული სახელოსნოებისათვის დამახასიათებელ კომპოზიციურ, ტექნოლოგიურ და სტილისტურ თავისებურებებს, რაც მათ დამოუკიდებელ მხატვრულ ღირებულებას ანიჭებს.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულია კომპლექსური კვლევითი მიდგომა, რომელიც აერთიანებს კერამიკული ნიმუშების ფორმალურ-მორფოლოგიურ, იკონოგრაფიულ, სტილისტურ და შედარებით ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორნამენტული მოტივების კომპოზიციურ აგებულებას, შესრულების ტექნიკას, ფერთა გადაწყვეტასა და მათ პარალელებს საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებსა და არქეოლოგიურ კოლექციებში.

კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით შემკული მოჭიქული კერამიკა პირველად განიხილება როგორც ერთიანი მხატვრული და კულტურული სისტემა, რომლის ანალიზიც საშუალებას იძლევა უფრო სრულად შეფასდეს შუა საუკუნეების საქართველოს კერამიკული ხელოვნების განვითარების თავისებურებები, ადგილობრივი სახელოსნოების შემოქმედებითი პოტენციალი და მათი ადგილი იმდროინდელი საერთაშორისო მხატვრული პროცესების კონტექსტში.

კვლევის მეთოდები. კვლევა ეფუძნება კომპლექსურ ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს არქეოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი და შედარებით-ისტორიული კვლევის მეთოდებს.

კვლევის ძირითად წყაროს წარმოადგენს ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ნიმუშები. თითოეული ექსპონატი შესწავლილია უშუალო ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე, გათვალისწინებულია მისი ფორმა, კეცის სტრუქტურა, ანგობისა და ჭიქურის თავისებურებები, დეკორირების ტექნიკა, კომპოზიციური აგებულება, ორნამენტული მოტივები და შესრულების მხატვრული ხერხები.

ნიმუშების მხატვრული და იკონოგრაფიული თავისებურებების გამოსავლენად გამოყენებულია ფორმალურ-სტილისტური ანალიზი, რომლის საფუძველზეც

შეფასებულია ცხოველთა გამოსახულებების კომპოზიციური გადაწყვეტა, სტილიზაციის ხარისხი, ფერთა სისტემა და დეკორის შესრულების ტექნოლოგიური თავისებურებები.

კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს შედარებით-ისტორიული ანალიზი, რომლის ფარგლებში ქუთაისური მასალა შედარებულია საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლიდან გამოვლენილ ანალოგიურ მოჭიქულ კერამიკასთან, აგრეთვე ბიზანტიურ, ირანულ და ევროპულ სამუზეუმო კოლექციებში დაცულ ნიმუშებთან. აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა საერთო მხატვრული ტენდენციებისა და ადგილობრივი, ლოკალური თავისებურებების გამოვლენა.

ზოომორფული გამოსახულებების შინაარსობრივი ინტერპრეტაციის მიზნით გამოყენებულია იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველზეც განხილულია ცალკეული ცხოველური მოტივების სიმბოლური მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართულ, ბიზანტიურ და ისლამურ კულტურულ სივრცეში.


კვლევის პროცესში გამოყენებულია აგრეთვე აღწერითი მეთოდი, რომლის საშუალებით სისტემატიზებულია ზოომორფული ორნამენტით შემკული კერამიკული ნიმუშები მათი იკონოგრაფიული, ტექნოლოგიური და მხატვრული ნიშნების მიხედვით.

კვლევის ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს არქეოლოგიური პუბლიკაციები, სამეცნიერო ლიტერატურა, მუზეუმების კატალოგები და საერთაშორისო სამუზეუმო კოლექციების ციფრული რესურსები, რომლებიც გამოყენებულია შედარებითი ანალიზისა და ანალოგიური ნიმუშების იდენტიფიცირების მიზნით.

მსჯელობა. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმის კოლექციაში ზოომორფული მოტივებით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. შედარებით მეტია (12 ერთეული) ფრთოსანთა გამოსახულებით დეკორირებული არტეფაქტები, რომელთა კვლევა უკვე ასახულია პუბლიკაციებში (Kartsidze, 2024a; Kartsidze, 2024b). მცირე რაოდენობითაა (მხოლოდ 3 ერთეული) ცხოველთა გამოსახულებით შემკული ფრაგმენტები, რომელთაგან ორი ადგილობრივი ნაწარმია, ერთი კი შემოტანილი. ზოომორფული ორნამენტიკის საკითხი გაშუქებულია მონოგრაფიაში „ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ორნამენტში ასახული მემკვიდრეობა – პარალელები და ინტერპრეტაცია“ (ქარციძე და სხვები, 2025: 116-125). ავტორები განიხილავენ შუა საუკუნეების მოჭიქულ კერამიკაზე გავრცელებულ ცხოველურ მოტივებს და მათ სიმბოლურ მნიშვნელობას. პუბლიკაცია მნიშვნელოვანია თემის კვლევის ისტორიის წარმოსაჩენად. ზოომორფული კერამიკის ფრაგმენტების აღწერილობა ასეთია:

ჯამის ძირის ფრაგმენტი **(შ. წ. №10130 AA-842 ქ.ც. სავ. №5112.86)** წითელი კეცით; სქელკედლიანი; თეთრად ანგობირებული (სურ. 1, 1). დეკორირებულია – ფერადი საღებავებით მოხატვის მეთოდით. ჯამზე, სავარაუდოდ, გამოსახული იყო მტაცებელი ცხოველი (ლომი), ნახტომის პოზაში. შემორჩენილია მხოლოდ ტანისა და ფეხების ფრაგმენტი. ლომის ზედა ნაწილი – თავი, ზურგი და ფეხების ნაწილი დაკარგულია. კონტურის ხაზები მუქი ყავისფერია. ცხოველის ზურგი და ფეხები შეღებილია ღია ყავისფრად, მოჩალისფრო მუცელზე გამოსახულია მუქი ლაქები. წინა თათის ქვევით ჩანს მომწვანო ფერის წრე, მუქი ყავისფერი კონტურით. გადავლებული აქვს უფერული ჭიქური, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ქუსლი გამოყვანილია, ბორბლისმაგვარი, გარეთა ღრუში ღილისებური კოპით. ზომები: ქუსლის დიამეტრი – 7,5 სმ.; ქუსლის სიმაღლე – 1,5

სმ.; კეცის სისქე – 0,8 სმ. აღმოჩენის ადგილი: ქუთაისის ნაქალაქარი ციტადელის სამხრეთი ფერდობი.



სურ. 1. ზოომორფული მოტივებით დეკორირებული ფრაგმენტები ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან: 1 - ლომის გამოსახულებით; 2 - ავაზის გამოსახულებით; 3 - იმპორტული ჯამის ფრაგმენტები

მეორე ჯამის გვერდის ფრაგმენტზე (**ქ.ც. №3681,2.2003**) გამოსახულ მტაცებელ ცხოველს თათით მსხვერპლი ჰყავს დათრგუნული (სურ. 1, 2). ჯამის კეცი მოყავისფროდ გამომწვარია, ზედაპირი თეთრად ანგობირებული. მტაცებელი ცხოველი ავაზას წარმოადგენს, ხოლო მსხვერპლი მის თათ ქვეშ, დაზიანების გამო, სამწუხაროდ, გაურკვევლია – ის შეიძლება ჩლიქოსანი ცხოველი, ფრინველი ან ქვეწარმავალი იყოს. გაფორმება შესრულებულია კომბინირებული მეთოდით, კერძოდ ამოკაწვრა – ჭიქუროვანი საღებავით დეკორირება – ამოკვეთის ხერხით. ამოკაწვრით დატანილია ცხოველთა კონტურები. მტაცებლის მუცლის ქვევით, ფეხსა და მსხვეპლის ქვევით დატანილია მოყავისფრო ჭიქუროვანი საღებავი, რომელიც ალაგ-ალაგ ჩამოღვენთილია. ცხოველის ტანზე ამოკაწრულია ლაქების მანიშნებელი პატარა წრეები. ორნამენტს ირგვლივ ამოფხეკა-ამოკვეთით შესრულებული წრეხაზი შემოსდევს, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული. გადავლებული აქვს უფერული კრიალა ჭიქური. გარეთა მხრიდან ანგობისა და ჭიქურის ნაღვენთებია. ზომები: კეცის სისქე – 0,6 სმ. აღმოჩენის ადგილი: ქუთაისის ნაქალაქარი. ციტადელის ტერიტორია.

მესამე იმპორტირებული ჯამი (**შ. წ. №10130 AA-842 ქ.ც. სავ. №5716/1,2,3,4,5,6.87**) სრულიად განსხვავებულია გამოსახული ორნამენტისა და კეცის სტრუქტურის მიხედვით (სურ. 1, 3). აქ მთელი სიუჟეტია დახატული ოსტატის მიერ, სამწუხაროდ, ჯამის დაზიანების გამო, ძნელია მთელი სურათის სრულად აღქმა – შემორჩენილია ძირის, პირისა და გვერდის ფრაგმენტი, ჯამი რუხკეციანი, კარგად განლექილი თიხა. შიდა და გარე ზედაპირები თეთრად ანგობირებული. გაფორმება შესრულებულია კომბინირებული

ამოკაწრა – ჭიქუროვანი საღებავით დეკორირება – ამოკვეთის მეთოდით. შიდა ზედაპირზე, ნაპირთან ამოკაწრით შესრულებულია სამი წრეხაზისა და წრეხაზებში ჩახატული ურთიერთშებრუნებული სამკუთხედებისაგან შედგენილი სარტყელი. პირისა და კალთის შეერთების ადგილას შემოუყვება ორი ამოფხეკით შესრულებული ხაზი და ამოკაწვრით შესრულებული ცხოველის (დათვის ბელი) გამოსახულება. ნაკაწრი ხაზებით გამოყვანილია მრგვალი სახე, კლაკნილი ხაზით მომღიმარი პირი, ხოლო ნახევარწრიული ლაქით ცხვირი და თვალი, შეიმჩნევა ყურის გამოსახულებაც. ჭურჭელზე ასევე გამოსახულია ფეხზე მდგომი ცხოველის ან ფრინველის წყვილი ფეხი – მოძრაობაში. ფეხი ზემოთ, ტანთან, უფრო სქელია, ვიდრე ქვემოთ. ის შემკულია მუქი მწვანე, სამკუთხა ლაქებით, რომელიც დატანილია ამოფხეკილ ზედაპირზე. ფეხებზე, თითქოს ქოში აცვია. კუდის ბოლო დაბლა დაშვებულია და ფეხების დონეს უტოლდება. ყვითელი ფერის ჭიქური ძლიერ დაზიანებულია. ჯამის გარე ზედაპირი კალთებამდე დაფარულია თეთრი ანგობით და მოჭიქულია მოყვითალო-მომწვანოდ. პირი ოდნავ გარეთ გადაშლილი, არათანაბრად დაშვებული კალთით. კარგად გამოყვანილი ღრუ ქუსლით. ზომები: ქუსლის დიამეტრი – 7,7 სმ; ქუსლის სიმაღლე – 1,3 სმ; კეცის სისქე – 0,5 სმ; აღმოჩენის ადგილი: ქუთაისის ნაქალაქარი.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიურ კვლევებში მრავლადაა აღმოჩენილი ქუთაისური ჯამების ფერითა და კომპოზიციით მსგავსი მოჭიქული კერამიკა. ლომის გამოსახულებით მოხატული ჯამები და მცირე ფრაგმენტები აღმოჩენილია თბილისის, დმანისის ნაქალაქარის, კასპის (ბახტაძე, 2013: 90-94), რუსთავის და სხვ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად (სურ. 2). აღნიშნული მონაპოვრები XII-XIII საუკუნეებს განეკუთვნება.

მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმების მოჭიქული კერამიკის კოლექციებში მრავლად გვხვდება ლომის გამოსახულებით შემკული ჭურჭელი, მაგალითად: ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში დაცული, IX-X საუკუნეებით დათარიღებული თასი ირანის ქ. ქირმანშაჰიდან (The Collection Islamic Art. Rogers Fund, 1926), (სურ. 3, 1);. XIV ს-ის დასასრულის ტოსკანური მოჭიქული ჭურჭელი ქ. კლივლენდის ხელოვნების მუზეუმიდან (სურ. 3, 2); XV ს-ის ტოსკანური თასი, კერძო კოლექციიდან ('Oak leaf' bowl painted with a leopard Old Master Sculpture, 2016) (სურ. 3, 3); XVI ს-ის კონიური თასი ლომისა და მზის მოტივით, ბრიტანეთის მუზეუმიდან (Plate featuring the shir u khurshid, 2008) (სურ. 3, 4).



სურ. 2. ლომის გამოსახულებით მოხატული კერამიკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან: 1 - თბილისი, XII-XIII სს.; 2 - ნაქალაქარი დმანისი, XII-XIII სს.; 3 - ქ. კასპი, XII-XIII სს.



სურ. 3. ლომის გამოსახულება უცხოურ მოჭიქულ კერამიკაზე:
1 - ჯამი ქ. ქირმანშაჰიდან, ირანი, IX-X სს. მეტროპოლიტენ მუზეუმი;
2 - ტოსკანური მოჭიქული ჭურჭელი, XIV ს. კლივლენდის ხელოვნების მუზეუმი;
3 - ტოსკანური თასი, კერძო კოლექციიდან XV ს.;
4 - თასი კონიიდან ლომისა და მზის მოტივით, XVI ს. ბრიტანეთის მუზეუმი

მეორე ფრაგმენტის კომპოზიცია, რომელზეც ავაზის ნადირობის მომენტია ასახული (მსხვერპლი, სავარაუდოდ, ქურციკი, ფრინველი ან ქვეწარმავალია) პოპულარული მოტივია შუა საუკუნეების სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისათვის. მოჭიქულ ჭურჭელზე ავაზას ხშირად ადამიანის სახე აქვს. შუა საუკუნეებში საქართველოში მოშინაურებულ ავაზას ქურციკებზე სანადიროდ გეშავდნენ (აკადემიის მოამბე, 1965) და ამ მტაცებლით ნადირობა დიდგვაროვანთა

გართობის პოპულარულ სახეს წარმოადგენდა. მოჭიქულ ჭურჭელზე ავაზის ნადირობის მოტივის გამოსახვა ტრადიციული იყო, როგორც ქრისტიანული ბიზანტიისათვის, ისე ისლამური სამყაროსათვის, რაც სხვადასხვა მუზეუმებში დაცული ნიმუშებითაც დასტურდება, მაგალითად: ბიზანტიური ჯამები ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის კოლექციიდან (სურ. 4, 1) (The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era 1997; Metropolitan Museum of Art, 1971) და ვაშინგტონის ხელოვნების ეროვნული გალერეიდან (სურ. 4, 2) (McClanan, A. (2024), ასევე სპარსული ჯამები კერძო კოლექციებიდან (Ancient Islamic Ceramic Wildlife Polychrome Bowl, 2023), (An Islamic Abbasids Potter, 2014) (სურ. 4, 3-4).



სურ. 4. მოჭიქული ჭურჭელი ავაზის ნადირობის კომპოზიციით:
1 - ბიზანტიური ჯამი, მეტროპოლიტენის მუზეუმი, XI-XIII სს.;
2 - ბიზანტიური ჯამი, ვაშინგტონის ხელოვნების ეროვნული გალერეა, XII ს.;
3-4 - სპარსული ჯამები, კერძო კოლექცია, XII ს.

ზოომორფულ ორნამენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ხალხთა ხელოვნებაში. ადამიანების გამოსახულებებისგან განსხვავებით, ზოომორფული გამოსახულებები მრავალი მნიშვნელობის დამტევია და მხოლოდ მულტიკულტურული კონტექსტის ფონზე იკვეთება – რის სადემონსტრაციოდაა მოხმობილი ესა თუ ის სიმბოლური გამოსახულება. ცხოველთაგან ლომის სიმბოლური მნიშვნელობა განსაკუთრებული და გამოკვეთილად კომპლექსურია. ის ყველა კულტურაში აღიარებულია ცხოველთა მეფედ და შესაბამისად, მიჩნეულია ძალაუფლების სიმბოლოდ. მისი გამოსახვის ტრადიცია ხელოვნების ძეგლებში უძველესი დროიდან არის გავრცელებული, მაგალითად, გავიხსენოთ ბაბილონის ძვ.წ. VI ს. იშთარის სასახლის კარიბჭისა (სურ. 5. 1) და ნაბუქოდონოსორ II-ის სასახლის კედლებზე რელიეფური ლომების რიგი (პერგამონის მუზეუმი), ასევე, სპარსეთის მეფის დარიოს I-ის სასახლის რელიეფი ქ. სუზადან (სურ. 5, 2), რომელიც ლუვრის მუზეუმშია დაცული (Fichier: Lion Darius Palace Louvre, 2007).

ლომი, გამორჩეული თავისი ამაყი ბუნებით, რომელიც ამაღლებულ ადგილს ირჩევს სადგომად და ხასიათდება ძალით და უშიშრობით, ამავე დროს, განასახიერებს მეფურ ძლიერებას. პარალელურად ლომი ჩნდება მცველის ფუნქციით – კარისა და სარკმლის სიახლოვეს. ხშირია მისი ფიგურა საბრძოლო სცენებში. ამ შემთხვევაში ის გვევლინება მეფე მცველის, მებრძოლის სიმბოლოდ, რომლის ხმა აზანზარებს ცხოველთა სამყაროს, ასევე ადამიანებს (გივიაშვილი, 2022: 23). ადამიანთა მეფის ლომთან, როგორც ცხოველთა

მეფესთან შედარების ტრადიცია ძველ აღთქმაში ჰპოვებს სათავეს: „მეფისა ბრძანებაჲ მსგავს არს ბრდღუენისა ლომისასა“ (იგავნი სოლომონისა 19:12). ის ამ მნიშვნელობას ინარჩუნებს შუა საუკუნეების როგორც ისლამურ ტრადიციაში, ისე ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ქრისტიანულ სამყაროში მას შეიძლება ჰქონდეს როგორც უარყოფითი (მაგ: ბიბლიური სცენა „დანიელი ლომების ხაროში“), ისე დადებითი კონოტაცია. „ფიზიოლოგის“ განმარტებით, რომელიც, ასევე შატბერდისეულ კრებულშიც მეორდება, მას აღდგომის მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან ახალშობილი ლომის ბოკვერი ცოცხლდება მხოლოდ მესამე დღეს, მამა ლომის მიერ სულის შთაბერვის შემდეგ, და ამდენად, განასახიერებს ქრისტეს აღდგომას. ლომის, ძლიერისა და ფხიზლად მყოფი მცველის სიმბოლური მნიშვნელობა ქრისტიანობას იუდეველთა რწმენა-წარმოდგენებიდან გადმოეცა: ძველი აღთქმის თანახმად, სოლომონის ტაძარს ლომის ფიგურები იცავდნენ (მეფეთა, 3.7.19-20); მცველის ფუნქცია მან „მღვიძარი თვალის“ წყალობით შეიძინა, „რაჟამს სძინავს, მღვიძარე არიედ თვალნი მისნი“. ძველი აღთქმა იუდეველთა მოდგმას ლომს ადარებს (დაბადება, 49:9), ხოლო ახალ აღთქმაში გამეორებულია იუდეველთა მოდგმის „ლომთან“ დაკავშირება, როცა უკვე იესო ქრისტე იწოდება იუდეველთა მოდგმის ლომად: „ნუ სტირ, აჰა ესერა სძლო ლომმან თესლისაგან იუდაჲსა, ძირმან დავითისმან, რომელმან აღაღოს წიგნი და შჯდნი იგი ბეჭედნი მისნი“ (გამოცხადება იოანესი 5.5), თუმცა ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ლომის გამოსახვა უმეტესწილად ბიბლიური დანიელის სასწაულის ილუსტრაციას წარმოადგენს.



1



2

სურ. 5. რელიეფები ლომის გამოსახულებით:
1 - იშთარის სასახლის კარიბჭე, ბაბილონი;
2 - დარიოს I-ის სასახლის რელიეფი, ირანი

ქართულ რეალობაში ლომი უძველესი დროიდან განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო. ამის დასტურია პრეისტორიული ხანიდან მომდინარე ტრადიცია, კახეთის მდიდრულ ყორღანში აღმოჩენილი ოქრომქანდაკებლობის ნიმუშის – ლომის ოქროს ფიგურისა და კოლხური თეთრის მონეტებზე აღბეჭდილი ლომის გამოსახულებების სახით. მეფე ძლიერი, უშიშარი, მცველი, მებრძოლი – სწორედ ასეთი

მნიშვნელობით დამკვიდრდა ლომის სახე ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ლომის ეპითეტით არაერთგზის მოიხსენიება ვახტანგ გორგასალი: „ჴმა ვახტანგისი, ვითარცა ჴმა ლომისა“. „ლომსა მოჴელოვნებულსა“ უწოდებს დავით აღმაშენებლს ისტორიკოსი. სამეფო სიმბოლოდ ლომი სახელდება შუა საუკუნეების საქართველოში. ყველაზე თვალნათლივ კი შოთა რუსთველმა გააჟღერა აფორიზმში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ლომი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქართულ საფასადო ქანდაკებაში – ხუროთმოძღვრული ძეგლების ქვის რელიეფებზე, მათ შორის გამოვყოფთ: V ს-ის ბოლნისის სიონის ეკლესიის კაპიტელზე გამოსახული ორი მჯდომარე ლომი, რომელთა შორის ქურციკი მირბის (სურ. 6, 1) (Украинке, спасшей древнюю грузинскую церковь, более ста лет, 2018); X ს-ის ხახულის მონასტრის ლომების გამოსახულებები; ლომები XI ს-ის ბაგრატის ტაძრის რელიეფებზე; ლომი XI ს-ის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სამხრეთ ფასადის რელიეფზე, ჯვრის ორ მხარეს ორი ლომი – XIII ს-ის ფიტარეთის ღმრთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფზე, რომელთაც მცველების ფუნქცია აკისრია (სურ. 6, 2) (Грузия, Питарети. Введенский монастырь, 2018) და სხვა მრავალი.



1



2

სურ. 6. ლომის გამოსახულება ქვის რელიეფებზე:
1 - ბოლნისის სიონის ეკლესიის კაპიტელი, V ს.;
2 - ფიტარეთის ღმრთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფი, XIII ს.



1 2 3 4 5

სურ. 7. ლომის გამოსახულება უძველეს ქსოვილებზე: 1, 2 - აშოტ კუხი, ტბეთის საკათედრო ტაძრის ქვის რელიეფი, X ს. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი);
3-5 - სვანური ქისები და ჩალათა, XII-XIII სს.

ლომის გამოსახულება ხშირად გვხვდება XI-XIII საუკუნეების ქსოვილის გაფორმებაშიც, რომელთაც „ქსოვილი ლომოვანის“ სახელით მოიხსენიებენ. ასეთი ქსოვილის სამოსითაა გამოსახული აშოტ კუხი, ტბეთის საკათედრო ტაძრის (X ს.) ქვის რელიეფზე. მის მოსასხამზე ჭადრაკულად არის განლაგებული, ნაქარგი ლომის სტილიზებული გამოსახულებები (სურ. 7, 1-2) (კალანდია, 2019: 20; ლანჩავა, 2017: 66). ლომის გამოსახულება ამოქარგულია ჩვენამდე მოღწეულ XII-XIII საუკუნეების სვანურ ქისებსა და ჩალათაზე (სურ. 7, 3-5).

შედეგები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული ნიმუშებით, რომლებიც განსხვავდება როგორც ტექნოლოგიური, ისე მხატვრული ნიშნებით.

კვლევის პირველმა ეტაპმა აჩვენა, რომ ზოომორფულ დეკორში დომინირებს მტაცებელი ცხოველების გამოსახულებები, კერძოდ ლომისა და ავაზის მოტივები, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა დეკორატიული ტექნიკის გამოყენებით. გამოვლენილია როგორც ფერწერული დეკორირების, ისე ამოკაწვრისა და კომბინირებული ტექნიკის ნიმუშები, რაც ადგილობრივი კერამიკული წარმოების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისური მოჭიქული კერამიკის ორნამენტულ სისტემას მნიშვნელოვანი პარალელები აქვს საქართველოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილ მასალასთან, აგრეთვე ბიზანტიურ, ირანულ და ევროპულ კერამიკულ ტრადიციებთან. მსგავსება განსაკუთრებით ვლინდება კომპოზიციურ აგებულებაში, ცხოველთა გამოსახვის მანერაში, სტილიზაციის ხარისხსა და დეკორირების მხატვრულ პრინციპებში.

იკონოგრაფიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ ზოომორფული გამოსახულებები მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას არ ასრულებდა. ცხოველთა, განსაკუთრებით ლომისა და ავაზის, გამოსახულებები დაკავშირებულია შუა საუკუნეების ქრისტიანულ და აღმოსავლურ კულტურულ სივრცეში გავრცელებულ სიმბოლურ მნიშვნელობებთან და გამოხატავს ძალაუფლების, ძლიერების, მფარველობისა და მეფური ღირსების იდეებს.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ქუთაისელი ოსტატები იზიარებდნენ შუა საუკუნეების საერთაშორისო მხატვრულ ტენდენციებს, თუმცა ამავდროულად ინარჩუნებდნენ ადგილობრივი სახელოსნოებისთვის დამახასიათებელ სტილისტურ და ტექნოლოგიურ თავისებურებებს. ეს გარემოება ქუთაისის კერამიკულ წარმოებას წარმოაჩენს, როგორც განვითარებულ ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული XI-XIII საუკუნეების კულტურულ ურთიერთობებში.

კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამება, კერძოდ ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული კერამიკული ნიმუშების წარმოშობის ადგილის, დეკორირების ტექნიკა და მათ მხატვრულ-იკონოგრაფიულ პარალელები, წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკის ნიმუშების შედარებითი დახასიათება

№	გამოსახულება	წარმოშობა	ტექნიკა	ანალოგები
1	ლომი	ადგილობრივი	მოხატვა	თბილისი, დმანისი, კასპი, ირანი
2	ავაზა	ადგილობრივი	ამოკაწვრა + მოხატვა	ბიზანტია, ირანი
3	დათვის ბელი	იმპორტი	კომბინირებული	აღმოსავლური წარმოება

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში დაცული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული მოჭიქული კერამიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს შუა საუკუნეების ქართული კერამიკული ხელოვნების, მისი ადგილობრივი თავისებურებებისა და საერთაშორისო კულტურული კავშირების შესასწავლად.

კვლევის შედეგების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტექნოლოგიური და მხატვრული ხერხების თანხვედრა, რაც მიანიშნებს წარმოების მაღალ დონესა და სტაბილურ ტრადიციაზე. დეკორატიული ელემენტების სტრუქტურა და შესრულების ხარისხი აჩვენებს, რომ ოსტატები ფლობდნენ არა მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას, არამედ

კარგად ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ სისტემასაც, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარკვეული ორნამენტული მოტივები და ფორმობრივი გადაწყვეტილებები ავლენს რეგიონთაშორისი კულტურული კომუნიკაციის ნიშნებს. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივი წარმოება არ იყო იზოლირებული და მონაწილეობდა ფართო გაცვლით ქსელებში, რაც გავლენას ახდენდა როგორც ფორმაზე, ისე დეკორზე.

კვლევის შედეგები ასევე მნიშვნელოვნად ამდიდრებს წარმოდგენას ქრონოლოგიური განვითარების შესახებ. გამოვლენილი მახასიათებლები იძლევა საშუალებას გარკვეულწილად დაზუსტდეს სტილისტური ცვლილებების ეტაპები და განისაზღვროს მათი ადგილი რეგიონული განვითარების საერთო სურათში.

ამასთან, მიღებული მონაცემები ხაზს უსვამს იმასაც, რომ მასალის ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, რადგან ცალკეული მახასიათებლები მხოლოდ ერთ ფაქტორზე არ არის დამოკიდებული. ფორმის, დეკორისა და ტექნოლოგიის ერთობლიობა წარმოადგენს იმ მთლიანობას, რომლის ანალიზიც საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განისაზღვროს ნიმუშების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა.

საბოლოოდ, კვლევა აჩვენებს, რომ შესწავლილ მასალას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, როგორც ადგილობრივი კერამიკული ტრადიციების გააზრებაში, ისე შუა საუკუნეების ვიზუალური კულტურის ზოგად კვლევაში. მიღებული შედეგები ქმნის საფუძველს შემდგომი უფრო დეტალური ტიპოლოგიური და შედარებითი ანალიზისთვის.

კვლევის სამეცნიერო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოჭიქული კერამიკის ქუთაისურ კოლექციაში არსებული ზოომორფული ორნამენტით დეკორირებული ნიმუშები პირველად არის განხილული, როგორც ერთიანი მხატვრულ-ტიპოლოგიური და იკონოგრაფიული სისტემა. ნიმუშების კომპლექსურმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა მათი ტექნოლოგიური, სტილისტური და კულტურული თავისებურებების ერთიან კონტექსტში შეფასება, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის შემდგომ კვლევაში.

დასკვნები. წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ შესწავლილი მოჭიქული კერამიკული მასალა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს შუა საუკუნეების საქართველოს მატერიალური კულტურის, კერამიკული წარმოებისა და მხატვრული ტრადიციების შესწავლისათვის. ფორმების, დეკორისა და ტექნოლოგიური ნიშნების კომპლექსურმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა ნიმუშებს შორის საერთო კანონზომიერებების გამოვლენა და მათი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის უკეთ გააზრება.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ადგილობრივი კერამიკული წარმოება გამოირჩეოდა ტექნოლოგიური და მხატვრული მრავალფეროვნებით, ხოლო ცალკეული დეკორატიული და სტილისტური ნიშნები ასახავს როგორც ადგილობრივი ტრადიციების მდგრადობას, ისე სხვადასხვა კულტურულ სივრცესთან ურთიერთქმედების პროცესს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს საქართველოს აქტიურ მონაწილეობაზე შუა საუკუნეების კულტურულ და ეკონომიკურ კონტაქტებში.

ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მასალის სისტემატიზაცია და მისი ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები, რომლებიც ხელს უწყობს მოჭიქული კერამიკის ტიპოლოგიის, ქრონოლოგიისა და მხატვრულ-ტექნოლოგიური განვითარების საკითხების დაზუსტებას. წარმოდგენილი მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მომავალი არქეოლოგიური კვლევების, ისე სამუზეუმო კოლექციების სამეცნიერო აღწერისა და ატრიბუციის პროცესში.

ამგვარად, კვლევა არა მხოლოდ ავსებს შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის შესახებ არსებულ ცოდნას, არამედ ქმნის საფუძველს შემდგომი ინტერდისციპლინური კვლევებისათვის, რომლებიც გააერთიანებს არქეოლოგიურ, ტექნოლოგიურ, ხელოვნებათმცოდნეობით და საბუნებისმეტყველო ანალიზის მეთოდებს, რაც კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოაჩენს ქართული კერამიკული ხელოვნების განვითარების ისტორიას. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქართული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის შემდგომი ტიპოლოგიური კვლევების, ასევე სამუზეუმო კოლექციების ატრიბუციის, კატალოგიზაციისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

An Islamic Abbasids Potter. (2014) LiveAuctioneers: https://www.liveauctioneers.com/price-result/an-islamic-abbasids-pottery-bowl/

Ancient Islamic Ceramic Wildlife Polychrome Bowl. (2023). Received from LiveAuctioneers: https://www.liveauctioneers.com/price-result/ancient-islamic-ceramic-wildlife-polychrome-bowl/

bakht'adze, n. (2013). (shemdgeneli da avt'ori) k'eramik'uli nak'etobani shua sauk'uneebis sakartve-loshi (sakartvelos erovnuli muzeumis k'olektsiebidan). tbilisi bak'ur sulak'auris gam-ba. (ბახტაძე, ნ. (2013). (შემდგენელი და ავტორი) კერამიკული ნაკეთობანი შუა საუკუ-ნეების საქართველოში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან). თბილისი ბაკურ სულაკაურის გამ-ბა)

Fichier: Lion (2007). Fichier: Lion Darius Palace Louvre Sb3298 (23).jpg https://fr.m.wikipedia.org/wiki/Fichier:Lion_Darius_Palace_Louvre_Sb3298_%2823%29.jpg

giviashvili, ir. (2022-23). ishkhnis k'atedralis piguruli reliepebis int'erp'ret'atsiistvis, Academia 10. (გივიაშვილი, ირ. (2022-23). იშხნის კათედრალის ფიგურული რელიეფების ინტერ-პრეტაციისთვის, Academia 10)

GruziJa, Ритarjeти. Vvjedjenskij monastyr" (2018). Sobor Rozhdjestva PrjesvJatoj Bogorodicy (VvjedjeniJa PrjesvJatoj Bogorodicy vo hram). Narodnyj katalog pravoslavnoj arhitjektury. OpisaniJa i fotografii pravoslavnyh hramov i monastyrjej (Грузия, Питарети. Введенский монастырь (2018). Собор Рождества Пресвятой Богородицы (Введения Пресвятой Богородицы во храм). Народный каталог православной архитектуры. Описания и фотографии православных храмов и монастырей). https://sobory.ru/article/?object=46645.

k'alandia, g. (2019). *ksovili sakartvelodan (kartvelta tavsaburavi)* nats'ili II. tbilisi. (კალანდია, გ. (2019). *ქსოვილი საქართველოდან (ქართველთა თავსაბურავი)* ნაწილი II. თბილისი)

Kartsidze, N. G., Ugrekhelidze, I. I., Sarava, N. D., & Sulaberidze, D. N. (2024). Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum. Global science:

prospects and innovations. In *Proceedings of the 7th International scientific and practical conference.* Liverpool, United Kingdom: Cognum Publishing House (pp. 414-420).

Kartsidze, N. G., Ugrekhelidze, I. I., Sarava, N. D., & Sulaberidze, D. N. (2024). Glazed ceramic vessel with the image of a bird from the Kutaisi Historical Museum. Global science: prospects and innovations. In *Proceedings of the 7th International scientific and practical conference.* Liverpool, United Kingdom: Cognum Publishing House (pp. 414-420).

Kartsidze, N., Ugrekhelidze, I., Sarava, N., & Sulaberidze, D. (2024a). For the Decoration of Kutaisi Glazed Ceramics. In *„Modern Research in Science and Education "Proceedings of VII International Scientific and Practical Conference.* Chicago (pp. 342-349).

Kartsidze, N., Ugrekhelidze, I., Sarava, N., & Sulaberidze, D. (2024b). For the Decoration of Kutaisi Glazed Ceramics. In *„Modern Research in Science and Education "Proceedings of VII International Scientific and Practical Conference.* Chicago (pp. 342-349).

Kartsidze, N., Ugrekhelidze, I., Sarava, N., & Sulaberidze, D. (2025). *Heritage Reflected In Kutaisi Glazed Ceramic Ornamentation – Parallels And Interpretation.* Monograph, 222. https://doi.org/10.52340/9789941878947

lanchava, o., chubinidze, e., ugrekhelidze, i., doghonadze, a., sarava, n., kartsidze, n., sulaberidze, d., mskhiladze, m. (2017). *dzveli kartuli nakargoba ts'erilobit ts'qaroebshi, arkeologiur masalebsa da khelovnebis dzeglebshi* [Ancient Georgian embroidery in written sources, archaeological materials and art monuments]. Kutaisi: ATU Publishing House. (ლანჩავა ო., ჩუბინიძე ე., სულაბერიძე დ., დოღონაძე ა., სარავა ნ., ქარციძე ნ., მსხილაძე მ. უგრეხელიძე ი. (2017). *ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში.* ქუთაისი: აწსუ) https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/403723

McClanan, A. (2024). *Middle Byzantine secular art.* Smarthistory: https://smarthistory.org/middle-byzantine-secular-art

Metropolitan Museum of Art. (1997). The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era, A.D. 843–1261. New York. Received from https://www.metmuseum.org

Metropolitan Museum of Art. *The Collection Islamic Art. Rogers Fund* 1971, Accession Number: 1971.147.1 https://www.metmuseum.org/art/collection/search/465951

Metropolitan Museum of Art. The Collection Islamic Art. Rogers Fund, 1926. https://www.metmuseum.org/art/collection/search/447907

'Oak leaf' bowl painted with a leopard Old Master Sculpture / Lot 59. https://www.sothebys.com/en/auctions/ecatalogue/2016/old-master-sculpture-l16231/lot.59.html

Plate featuring the shir u khurshid (lion and sun). (2008). *The best place to be a photographer:* Received from https://www.flickr.com/photos/sheepdog_rex/49538661607

Ukraинkje, spasshjej drjevnjuju gruzинskuju cjerkov", boljeje sta ljet. (2018). Novosti o rjeliгии. Blagovjest инfo. (Украинке, спасшей древнюю грузинскую церковь, более ста лет. (2018). *Новости о религии.* Благовест инфо). https://www.blagovest-info.ru/index.php?ss=2&s=3&id=18268